ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილების № 32.19.1158

26 ნოემბრი 2012 წლის თანახმად, დაჯამყოფილებულ იქნა შპს “მარუხი 2008” –ის განცხადება და განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაჯრებლის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით. გადახდის ვადა დადგინდა 2014 წლის 1 მაისამდე.

განმარტებით ბარათში, გადახდის კალენდარულ გრაფიკში მითითებულია ახალი თარიღი, თუ როდის უნდა იქნას გადახდილი განაშენიანობის ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაჯრებლის თანხა.

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 32.19.1158

„26" ნოემბერი 2012 წ.

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ

2012 წლის 20 სექტემბერს ქ. თბილისის მერიას №07/152968-1 და 01 ნოემბრის №07/152968-1 განცხადებებით მომართა შპს „მარუხი 2008"–ის დირექტორმა გივი ნადაშვილმა და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, მარუხის გმირების ქ. №15-ში მდებარე (საკადასტრო კოდი №01.14.11.058.051) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადება 2014 წლის 1 მაისამდე და მასთან დაკავშირებით შესაბამისი შეთანხმების დადება.

ქალაქ თბილისის მთავრობამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის 27.09.10 წ. №3941 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2014 წლის 1 მაისამდე გადავადების და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების საკითხი და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის 17[1] მუხლის შესაბამისად ქ. თბილისში, მარუხის გმირების ქ. №15-ში მდებარე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიიჩნია შპს „მარუხი 2008"–თან მოსაკრებლის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით დადოს შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 30 ივლისის №19.13.721 დადგენილების შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს შპს „მარუხი 2008"–ის განცხადება ქალაქ თბილისის მერის 27.09.10 წ. №3941 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2014 წლის 1 მაისამდე გადავადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების თაობაზე.

2. დადებულ იქნეს შპს „მარუხი 2008"–თან შეთანხმება შემდეგი პირობებით:

ა) ქალაქ თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს შპს „მარუხი 2008"–ის მიერ ქალაქ თბილისის მერის 27.09.10 წ. №3941 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადავადებას 2014 წლის 1 მაისამდე, ხოლო შეთანხმების განხორციელების მიზნით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს შენობა–ნაგებობის უფლებამოსილი ორგანოს მიერ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად მშენებლობის დასრულება და არაუგვიანეს 2014 წლის 1 მაისისა, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნების დაკმაყოფილება;

ბ) შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შეთანხმება გაუქმდება და შპს „მარუხი 2008"–ს დაეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს ქალაქ თბილისის მერის 27.09.10 წ. №3941 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებელი.

3. შეთანხმებაზე ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს (არისი ბოჭოიძე).

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე–მერს) დავით ნინიძეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ.თბილისის მერი მოადგილე დავით ალავიძე



განმარტებითი ბარათი

ქ.თბილისში, გაკე საბურთალოს რაიონში,მარუხის ქ.№15.ნაკ.25 მშენებლობისთვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებაზე, მოსაკრებლის გადახდის ანგარიშზე

განმარტება:

ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე (მისამარუხის ქ.15.ნაკვეთი 25.) მოქმედებს ფუნქციური ზონა სზ-3 , რომლისთვისაც განაშენიანების ინტენსივობის დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებლებია : კ-2= 1.5

ქ.თბილისის მერის №260 განკარგულებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმადაც განაშენიანების ინტენსივობით კოეფიციენტი განისაზღვრა 1.7 დით , ხოლო 2010 წ №3941 განკარგულებით მეორეჯერ გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გადამეტების მიზნით, რომლის თანახმადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა2.7, რა დროისთვისაც მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 1 კვმ-ზე განისაზღვრებოდა 96_ლარით.

ფორმულა:

თანახმად ,,ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 29 ივნისის №7-41 გადაწყვეტილებისა, მოსაკრებლის ოდენობა გამოითანგარიშება ფორმულით:

$$X = \frac{150}{1.5} (1.7-1.50)*1810 = 36200$$

2010წლისთვის მიწის ნომინალური ფასი არის 96 ლარი. აქედან გამომდინარე

სადაც X არის მოსაკრებლის ოდენობა; 96 არის 1 კვმ. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1.7 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; 2.7 არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; 1810 არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართი. 0.54 არის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი,განთმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი მოსაკრებლის შეღავათი.

ვინაიდან განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი იქნა გადამეტებული იქნა დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებლის 20%-ზე მეტად (ანუ მინიჭებულ ერთ ჯერზე მეტად), ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$X = \frac{96}{1.5} (2.7-(1.7+0.54)*1810=53286.40$$

---

1 თუ წინა ჯერზე არ იქნა ათვისებული დადგენილი მაქსიმალური მაჩვენებლის 20%, მაშინ ფორმულაში ანგარიშება ასევე 20%-იანი შეღავათი.

დანართი

სადაც K2" არის მიწის ნაკვეთის საბოლოოდ მინიჭებული, ხოლო K2' , არის წინა ჯერზე მინიჩებული განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი.2010წ.№3941 განსაზღვრა 2.7 დით

ანგარიში:

$$X = \frac{96}{1.5} (2.7-(1.7+0.54)*1810=53286.40$$

გადახდის კალენდარული გრაფიკი 2 :

გადახდის თარიღი	თანხა
2014.01.05	89486.4
ჯამი	89486.4

------ნადაშვილი გივი-- ---2011.08.11---

(დამკვეთი) (თარიღი)